საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და
სპორტის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო
კონსერვატორია
თბილისი 0108, გრიბოედოვის ქ. N 8-10 ტელ/ფაქსი:(+995 32) 2 999 144,
www.tsc.edu.ge ელ–ფოსტა: info@tsc.edu.ge; inter@tsc.edu.ge

KA000027766032820

№ 01-198-A

08 / სექტემბერი / 2020 წ.

ბრძანება

ინფექციური დაავადებისათვის მზადყოფნისა და რეაგირების გეგმის განხორციელებისათვის პასუხისმგებელი პირის ცვლილების (თერმოსკრინინგი)შესახებ

საქართველოს კანონის "უმაღლესი განათლების შესახებ" 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ" ქვეპუნქტით, სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდების მე-16 მუხლის პირველი ნაწილის „მ"ქვეპუნქტით, 2020 წლის 1 ივნისისრექტორისN02-88-Rბრძანებით დამტკიცებული ინფექციური დაავადებისათვის მზადყოფნისა და რეაგირების გეგმის,სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში ინფექციური დაავადებისათვის მზადყოფნისა და რეაგირების გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ 2020 წლის 2 ივნისის რექტორის N02-90-Rბრძანების, 2020 წლის 31 აგვისტოს რექტორის N02-138-R ბრძანების, 2020 წლის 01 სექტემბრის საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს N MES 520 0000756505 წერილის, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის N38 დანართის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1.სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში 2020 წლის 01 ივნისის რექტორის N02-88-R ბრძანებით დამტკიცებული ინფექციური დაავადებისათვის მზადყოფნისა და რეაგირების გეგმის განხორციელებისათვის 2020 წლის 08 სექტემბრიდან განხორციელდეს შემდეგი ცვლილება:

2.ინფექციური დაავადებისათვის მზადყოფნისა და რეაგირების გეგმით გაწერილი ინსტრუქციისა და წინასწარ შედგენილი გეგმა-გრაფიკის მიხედვით შენობაში მოქალაქეთა დაშვება, თერმოსკრინინგის განხორციელება შენობაში შემოსვლისას მოქალაქეთა მხრიდან covid-19-თან დაკავშირებული მოთხოვნების შესრულების მონიტორინგი (დეზობარიერის გამოყენება, პირბადით დაშვება, თერმოსკრინინგი),ინციდენტის აღმოჩენის, სიცხის დაფიქსირების შემთხვევაში რეაგირება - შეკავების ოთახში განთავსებადა 112 შეტყობინების გაგზავნა საჭიროების დროს და ინფექციური შემთხვევების აღმოჩენის ჟურნალის წარმოების მონიტორინგი დაევალოს მაია შანყულაშვილს.

3.წინამდებარე ბრძანების შეუსრულებლობასა ან/და არაჯეროვან შესრულებაზე პირს დაეკისრება პასუხისმგებლობა კონსერვატორიის შინაგანაწესისა და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

4.ბრძანების კონსერვატორიის ოფიციალურ ვებ–გვერდზე განთავსება დაევალოს კონსერვატორიის ვებ-გვერდის ადმინისტრატორს.
5.ბრძანება დაეგზავნოს ყველა სტრუქტურულ ერთეულს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემით და კონსერვატორიის სრულ შემადგენლობას ელ.ფოსტით.
6.ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
7.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: დ. აღმაშენებლისხეივანიმე-12 კმ. N6).

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ნიკოლოზ ხორბალაძე